დანართი 1

სამაგისტრო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია

1. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად).
სამაგისტრო პროგრამა შეიძლება მოიცავდეს დარგს, ქვედარგს ან იყოს დარგთაშორისი (ინტერდისციპლინური).

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (ქართულად და ინგლისურად).
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმულირება ხდება ერთიანი პრინციპით: კონკრეტული დარგის (ინტერდისციპლინური სფეროს) სახელწოდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმით + მაგისტრი (მაგალითად, ფილოსოფიის მაგისტრი, ქიმიის მაგისტრი, ფსიქოლოგიის მაგისტრი და სხვ.).
სპეციალობა ან სპეციალიზაცია (იმ შემთხვევაში, თუ განსხვავდება შესაბამისი დარგის/ინტერდისციპლინური სფეროსგან) ეთითება დიპლომსა და მის დანართში. მაგალითად, დიპლომში იწერება: აკადემიური ხარისხი – ფიზიკის მაგისტრი, სპეციალობა – ექსპერიმენტული ფიზიკა; დიპლომის დანართში იწერება: მინიჭებული კვალიფიკაცია (აკადემიური ხარისხი): ფიზიკის მაგისტრი, სწავლების ძირითადი დარგი: ექსპერიმენტული ფიზიკა.
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ინგლისური თარგმანი შეიძლება ქართული ვარიანტის პირდაპირ თარგმანს არ წარმოადგენდეს (მაგალითად, ინგლისური MA, რომელიც ენიჭებათ, ძირითადად, ხელოვნების, თეოლოგიის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სფეროებში და MSc, რომელიც ენიჭებათ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო, იშვიათად, სოციალურ მეცნიერებათა სფეროებში, ქართულად ითარგმნება როგორც მაგისტრი და არა როგორც ხელოვნების, ან მეცნიერების მაგისტრი ამა თუ იმ დარგში).

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი (წარმოადგინეთ მისი CV).
1. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე სრული ან ასოცირებული პროფესორი, სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალის საერთო შეთანხმებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე. პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს მოწვეულმა, დოქტორის აკადემიური ხარისხისა და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირმა. პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. შესაძლებელია, პროგრამის ხელმძღვანელთა შეთანხმების საფუძველზე პროგრამას ჰყავდეს ერთი კოორდინატორი. დარგთაშორის (ინტერდისციპლინურ) სამაგისტრო პროგრამას უნდა ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი.
2. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი კოორდინირებას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის

საჯაროობასა და გამჭვირვალობას; ორგანიზებას უკეთებს სამაგისტრო პროგრამის საჯარო განხილვას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, კათედრა და ა. შ.), ან შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების სხდომაზე. საჯარო განხილვის ოქმი წარდგენილ უნდა იქნას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში პროგრამის აღწერილობასთან ერთად.

3. პროგრამის შემუშავების დროს რეკომენდებულია აქტიური კონსულტაციები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომ მათთან ერთად განისაზღვროს ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის, კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, შრომის ბაზარზე ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად.

4. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

5. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: სტუდენტების ინფორმირება კურიკულუმის შესახებ, მაგისტრანტების ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციის გაწევა სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, მაგისტრანტების სასწავლო და კვლევითი კომპონენტის განხორციელების მონიტორინგი და სხვ.

6. სრული ან ასოცირებული პროფესორი (ასევე მოწვეული, შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და დარგობრივი კვალიფიკაციის პირი) შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი/კოორდინატორი.

4. პროგრამის ანალოგი.

მიუთითეთ, ევროპის, აშშ და მსოფლიოში წამყვან სხვა რომელ უნივერსიტეტში ხორციელდება მსგავსი სამაგისტრო პროგრამა. შეგიძლიათ ისარგებლოთ მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების ჩამონათვალით (http://www.tsu.ge/dep/educational/xus/Top%20500%20Universities.pdf). მიუთითეთ ვებ–გვერდი, სადაც შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება ანალოგი სამაგისტრო პროგრამის შესახებ.

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება.

ა) პროგრამის მიზანი: მკაფიოდ, სასურველია პუნქტობრივად მიეთითოს პროგრამის მიზნები და აქტუალობა.

ბ) სწავლის შედეგები: სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს ამ ცოდნის გამოყენებით გრძელვადიანი ან მოკლევადიანი სასწავლო პროცესის დასრულების შედეგად.

პროგრამაში დიფერენცირებულად უნდა უნდა მიეთითოს ის დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარები, რომლებსაც შეიძენს კურსდამთავრებული.

გ) დასაქმების სფეროები: პროგრამის მიზანდასახულობა, შინაარსი და სტრუქტურა, სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს დასაქმების მითითებულ სფეროებსა და საქართველოს კანონმდებლობას.

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

მიუთითეთ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ამ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობების და სახელმწიფო მოთხოვნების გარდა.

- მიუთითეთ, რომელ სფერო(ებ)ში უნდა ჰქონდეს მიღებული ბაკალავრის ხარისხი სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს;
- მიუთითეთ გამოცდის ფორმატი. ერთიანი სამაგისტრო და სპეციალობაში წერითი გამოცდის გარდა, შესაძლებელია ჩატარდეს ზეპირი გამოცდაც, გასაუბრება, გამოცდა უცხო ენაში და სხვ. თუ მაგისტრანტს მოეთხოვება უცხო ენაში გამოცდის ჩაბარება, მიუთითეთ შესაბამისი ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) და მისი ცოდნის დონე B1 / B2)
- დანართის სახით წარმოადგინეთ საგამოცდო საკითხები.

7. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა.

სამაგისტრო პროგრამა შეიძლება ამოქმედდეს ამ პროგრამაზე ხუთი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას, თუ სამაგისტრო პროგრამას 30 კრედიტი მაინც საერთო აქვს უნივერსიტეტის რომელიმე ფაკულტეტის (ფაკულტეტების) სასწავლო კურსებთან.

სამაგისტრო პროგრამა შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სავალდებულო და არჩევითი კურსებისგან, ან სავალდებულო და არჩევითი (თემატური ან სასპეციალიზაციო) მოდულებისგან.

სასწავლო კურსების (მოდულების) კრედიტები 5–ის ჯერადი უნდა იყოს. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას ე. წ. რეგულირებადი სპეციალობების შემთხვევაში.

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტია (აკადემიური წლის განმავლობაში – 60, ხოლო სემესტრის განმავლობაში – 30 კრედიტი). მოდულარული პროგრამის შემთხვევაში სასურველია კრედიტების ამგვარი განაწილება: პროგრამისთვის სავალდებულო კურსები – 30 კრედიტი, სასპეციალიზაციო მოდულისთვის სავალდებულო კურსები – 30 კრედიტი, არჩევითი კურსები – 30 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი – 30 კრედიტი.

სამაგისტრო პროგრამაში (პროგრამის მოდულში) წარმოდგენილი არჩევითი დისციპლინების კრედიტების რაოდენობა არ უნდა იყოს სტუდენტის მიერ ასარჩევი საგნების კრედიტების რაოდენობაზე 1,5–ჯერ მეტი. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არჩევითი საგნები შეთავაზებულია სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან.

სამაგისტრო ნაშრომის (შემოქმედებითი პროექტის) წილი უნდა იყოს 30 კრედიტი. ე. წ. პროფესიული პროფილის სამაგისტრო პროგრამებში გამონაკლისის სახით შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომს დაეთმოს 20 კრედიტი.
ცხრილის სახით წარმოადგინეთ პროგრამის სტრუქტურა – სასწავლო გეგმა (იხ. ფორმა 1), სადაც მითითებული იქნება: სასწავლო კურსების (მოდულების) სახელწოდებები და მათი სემესტრული განაწილება, სასწავლო კურსების (მოდულების) სტატუსი, მათი კრედიტები, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა, პროფესიული პრაქტიკა და მისი მოცულობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საკურსო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამაგისტრო ნაშრომი და მისი მოცულობა.

8. სასწავლო კურსების სილაბუსები.
წარმოადგინეთ ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსის სილაბუსი უნივერსიტეტში მოქმედი ერთიანი ფორმის მიხედვით (http://www.tsu.ge/qa/syllabus.htm).
პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს თსუ აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილება „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“.

9. კვლევითი კომპონენტი.
წარმოადგინეთ უნივერსიტეტის იმ სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტის/ დეპარტამენტის/კათედრის/მიმართულების და ა. შ.) სამეცნიერო/შემოქმედებითი თემატიკა, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა. მიუთითეთ ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებული და ამჟამად არსებული სამეცნიერო გრანტები (თემა, დონორი ორგანიზაცია, თანხა, პროექტის ხანგრძლივობა).

10. სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
დეტალურად აღწერეთ, სად და რა პირობებში უნდა განხორციელდეს სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კომპონენტი. მიუთითეთ უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული (ინსტიტუტი/ დეპარტამენტი/კათედრა/მიმართულება და ა. შ.), სადაც დაგეგმილია კვლევა. მოგვაწოდეთ მუშა მდგომარეობაში არსებული აპარატურის ჩამონათვალი. მიუთითეთ არსებობს თუ არა კომპიუტერული ბაზა, ინტერნეტი, სამაგისტრო პროგრამის მიზნების შესაბამისი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა და პერიოდიკა, ელექტრონული რესურსები. მიუთითეთ, დაგეგმილია თუ არა სამეცნიერო ექსპედიციები (როდის, სად, რა ხანგრძლივობის) და მათი დაფინანსების წყაროები.
იმ შემთხვევაში, თუ კვლევის სრულყოფილი წარმართვისათვის აუცილებელია ისეთი აღჭურვილობის გამოყენება, რომელიც უნივერსიტეტს არ გააჩნია, მიუთითეთ, სად (რომელ დაწესებულებაში) შესრულდება სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი კვლევის ეს ნაწილი. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა წარმოადგინოს ამ ორგანიზაციის თანხმობის წერილი (წერილის ფორმატი იხ. ფორმა 2). თანხმობის წერილი წარმოდგენილ უნდა იქნეს ასევე იმ პარტნიორი

ორგანიზაციებიდან, სადაც დაგეგმილია მაგისტრანტების პროფესიული პრაქტიკის ჩატარება.

11. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები.

სამაგისტრო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ერთი ან რამდენიმე ფაკულტეტის ბაზაზე. ინტერფაკულტატური სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრირებას ახდენს ერთ–ერთი ფაკულტეტი პროგრამის ხელმძღვანელების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის და ფაკულტეტების ადმინისტრაციის შეთანხმების საფუძველზე. პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ფაკულტეტი უნდა მიეთითოს პროგრამის აღწერილობაში.
სამაგისტრო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან და ინსტიტუტებთან, უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.
ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ წარმოდგენილ მოთხოვნათა ნახევარზე მეტს:

ა) პროგრამას ჰყავს ქართველი და უცხოელი თანახელმძღვანელი.
ბ) კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტის (კვლევითი ცენტრის) შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პროფესორი (მკვლევარი).
გ) პროგრამა შემუშავებულია მისი განმახორციელებელი ქართული და უცხოური უნივერსიტეტის (სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის) მოთხოვნების შესაბამისად.
დ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტის (სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის) პროფესორი (მკვლევარი), რომელიც გარკვეული პერიოდულობით ჩამოდის და ჩვენს სტუდენტებს უკითხავს ინტენსიურ სალექციო კურსს/კურსებს ან მათ სთავაზობს დისტანციურ სწავლებას.
ე) პარტნიორი უნივერსიტეტის (სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის) პროფესორი (მკვლევარი) ხელმძღვანელობს / თანახელმძღვანელობს სამაგისტრო ნაშრომს/ნაშრომებს.
ვ) პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების გაცვლას.
ზ) პროგრამა ითვალისწინებს ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

ა, გ და ე პუნქტების მოთხოვნათა დაკმაყოფილება სავალდებულოა.

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის დამტკიცება თსუ აკადემიური საბჭოს მიერ ხდება მხოლოდ პარტნიორი უნივერსიტეტიდან (კვლევითი ცენტრიდან) თანხმობის მიღების შემთხვევაში (თანხმობის წერილი იხ. ფორმა 3).
საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის დამტკიცებიდან 6 თვის განმავლობაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პარტნიორ უცხოურ ორგანიზაციას შორის უნდა გაფორმდეს სპეციალური ხელშეკრულება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შესახებ.

12. სამაგისტრო პროგრამაში ცვლილების შეტანა.

სამაგისტრო პროგრამაში ნებისმიერი სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ცვლილების შეტანა ხდება სამაგისტრო პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

ფორმა 2

თანხმობის წერილი
(ნიმუში)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, პროფ. _____

ბატონო _____ ,

უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, ცენტრი და ა. შ. (***ორგანიზაციის სრული სახელწოდება***) თანახმაა, თსუ სამაგისტრო პროგრამის (***პროგრამის სახელწოდება***) ფარგლებში უზრუნველყოს მაგისტრანტების მიერ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შესრულება საკუთარ ბაზაზე (***ლაბორატორია, განყოფილება და ა. შ.***). კვლევის თემატიკა შეთანხმებულია სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან (***სახელი, გვარი***).

ორგანიზაციის დირექტორი ხელმოწერა
ლაბორატორიის/განყოფილების და ა. შ. ხელმძღვანელი ხელმოწერა

ორგანიზაციის ბეჭედი

თარიღი

ფორმა 3

თანხმობის წერილი
ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის
განხორციელების შესახებ (ნიმუში)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, პროფ. _____

ბატონო _____ ,

უნივერსიტეტი/სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (*ორგანიზაციის სრული სახელწოდება*) თანახმაა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განახორციელოს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა (***სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები პარტნიორი ორგანიზაციებიდან***).
ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს ჩვენი ორგანიზაციის მონაწილეობას შემდეგი კომპონენტების განხორციელებაში: ***კურიკულუმის შემუშავება, ცალკეული სალექციო კურსის წარმართვა ჩვენი პროფესორების (მკვლევარების) მიერ, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სტუდენტების გაცვლა, ერთობლივი ხარისხის მინიჭება და სხვ.***

უნივერსიტეტის რექტორის/
სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის ხელმოწერა

უნივერსიტეტის/სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბეჭედი

თარიღი